ცნობის ფურცელი

№ 2055 ხუთშაბათი, 30 იანვარი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2055

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ამ №-თან ხელის მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების“ მე-88 №-რი.

უგანათლებულესი თავადი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე მინგრელსკი აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 24 იანვარს პეტერბურგში გარდაცვალებულ ძვირფას მამის უგანათლებულესის თავადის

ნიკოლოოზ დავითის ძის მინგრელსკის

გვამს მოასვენებენ ახალ-სენაკის სადგურზე კვირას, 2 თებერვალს, საღამოთი; იქიდან მეორე დღეს ცხედარი წასვენებული იქნება მარტვილს სამეგრელოს მთავართა საგვარეულოს აკლდამაში დასაკრძალავად. დაკრძალვა ოთხშაბათს, 5 თებერვალს. პეტერბურგიდან მომავალი მატარებელი, რომელშიაც ცხედარი იქნება, თითო საათი გაჩერდება შემდეგს სადგურებზე: ტფილისსა, გორსა, რიონსა და სამტრედიაში. რიონში მატარებელი მოვა ნაშუაღლევის 4 საათსა და 42 წუთს (პეტერბურგის დრო). (4—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. თოთიბაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მელინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ვ. ბ. ბადალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოიძე.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათი 11½—12½.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 10—11.

ა. ზ. ბარხუძოვი—დედათა სნეულებანი, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

ბ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. მ. ხოზოლევსკი—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ტ. ბ. ბადალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და [illegible] 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.).

მასაჟითა და [illegible] გიმნასტიკა“, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში). ტელეფონი № 271 (ჩ.)

წარმოდგენა მე-83. ტელეფონი 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 30 იანვარს, 1903 წელს

ბენეფისი

მ. მ. საფაროვი-აბაშიძისა.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

I

ალლუმი

კომედია 4 მოქმედ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: საფაროვი-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, გამყრელიძისა, კარგარეთელი, ლეჟავა, რიონელი, ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი: აბაშიძე, აწყურელი, გამყრელიძე, გედევანოვი, გუნია, ივანიძე, მესხი, სვიმონიძე, შათირიშვილი, საფაროვი, ქლენტი და სხ.

II

დივერტისმენტი

მონაწილეობას მიიღებენ ოპერის არტისტები: **ქ-ნნი გაშანსკაია, არციბაშევისა; ბ-ნნი შტეინბერგი, ლომაშევიჩი ხოდუსი და თზიკო ზარბაშვილი.**

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხისთან. ტელეფონი 642

ოპოზიცია შავი-ქვის მრეწველთა კრებაზე და მისი იდეოლოგები

III*).

ჩვენ კვალელებს ვუსაყვედურეთ წინა წერილებში დახასიათებულ ჯგუფებთან შეერთება, რადგან პალმების, ჩერნევსკი-მარკოვსკების და ემერიკების ოპოზიცია საქმისადმი სიყვარულით, საზოგადო ინტერესით არ არის გამოწვეული. ჩვენის აზრით, შეერთება შეიძლება მხოლოდ იმათთან, რომელნიც, თუმცა თავისებურად, მაგრამ მაინც საზოგადო საქმის გაუმჯობესებისა, ადგილობრივ მკვიდრთა ინტერესებისათვის ზრუნავენ; ხოლო შეერთება თვით საქმის მტერთან, შეერთება იმათთან, ვინც დაინტერესებულია ადგილობრივ საზოგადოებრივ თვითმოქმედების შეზღუდვაში—საზოგადო საქმის ღალატია. ჩვენს საყვედურზე „კვალმა“ პირდაპირი პასუხი არ მოგვცა. მისი ახლანდელი ხელმძღვანელი, ბ. დ. თოფურიძე, ჯერ ერთი—ცილსა გვწამებს. ის არწმუნებს მკითხველთ, ვითომც ჩვენა ვთქვით: კალისტრატე=ემერიკი=კვალელი. ასეთი საუცხოვო დასკვნა ბ. თოფურიძის ფანტაზიის ნაყოფია; ჩვენ-კი ვამბობდით და ვამბობთ, რომ კვალელის შეერთება კალისტრატ-ემერიკ-მარკოვსკებთან სრული ანომალიაა და ნაყოფია კვალელების დაბრმავებისა და საქმეთა მდგომარეობის გაუგებრობისა. შემდეგ, ბ. თოფურიძე ცდილობს გაამართლოს ეს ანორმალური შეერთება, რისთვისაც საფრანგეთის პოლიტიკურ პარტიების ურთიერთობასა სწვდა. „Comparaison n'est pas raison“ და ამ შემთხვევაში მით უმეტესად. სად საფრანგეთის პოლიტიკურ პარტიების ბრძოლა და სად შავიქვის მრეწველთა კრება?! მაგრამ გავყვეთ ბ. თოფურიძეს და ვისარგებლოთ მის შედარებითვე.

საზოგადოთ უნდა ვსთქვათ, რომ კვალელების რიხიანობა და გამბედაობა საარაკოა. მათ ყველაფერი იციან და ერთის კალმის მოსმით ყოველივე შეუძლიათ მოსპონ, გადაჭრით გადასწყვიტონ. „კვალი“-ს ამ წერილშივე, მაგალითად, ბ. თოფურიძე რიხიანად მიწასთან ასწორებს მილიერანის დასს, როგორც სოციალისტებს. თვით მილიერანის სოციალისტობას ბ. თოფურიძე საკვირველის სიადვილით სპობს მით, რომ სიტყვა სოციალისტი მილიერანი ფრჩხილებში ჩაუსვამს, ვითომ მილიერანის სოციალისტობა რა სათქმელიაო. სასაცილოა და სხვა არაფერი ასეთი რიხიანობა! კვალელის ფიზიონომია სპეტაკიაო, ამბობს ბ. თოფურიძე ქვემოდ; გამოდის, რომ კვალელი შეუცდომელი და ერთგული მომხრეა ხალხისა, ნამდვილი დემოკრატი, მილიერანი-კი და მისი მომხრენი საეჭვო დემოკრატები არიან. აი როგორ ადვილად, როგორის სიმჩატითა და ამასთანავე საკვირველის სითამამით სწყვეტს „კვალი“ ისეთ მძიმე საკითხს, როგორიც არის გედისტებისა და ჟორეს-მილიერანის დასების ურთიერთობა.

მკითხველებმა იციან, რაც მოხდა ბოლო ხანში საფრანგეთის სოციალისტების შორის. დრეიფუსის პროცესმა აღმოაჩინა რეაქციონერთა მეტის-მეტი გაძლიერება და მათი შეკავშირება რესპუბლიკის წინააღმდეგ. ყველა ბნელი ძალები შეერთდნენ და მედგრად იერიში მიიტანეს რესპუბლიკის დასამხობადა და დემოკრატიის დასასუსტებლად, დემოკრატიის ზრდის შესაჩერებლად. საფრანგეთის ცხოვრებაში საშიში მომენტი დადგა. რასაკვირველია, ისტორიის ბორბლის უკან დატრიალება რეაქციონერებს არ შეეძლოთ, მაგრამ რეაქციის გამარჯვება ბევრ სიძნელესა და დაბრკოლებას აღმოუჩენდა დემოკრატიას. ამას კარგად მიხვდნენ გამჭრიახი ბელადნი სოციალისტებისა—ჟორესი და მილიერანი და მხარი მისცეს ბურჟუას ვალდეკ-რუსსოს, რომელიც მედგრად შეებრძოლა შეერთებულს რეაქციას, რესპუბლიკის დასამხობათ გამოსულს. ყველა რესპუბლიკელთა შეერ-

---

*) იხ. „ცნ. ფ.“ № 2054.

ფელეტონი

სიტყვა-კაზმული მწერლობა 1902 წელს

გაგრძელება*)

გასულ წელს გაზეთის ფელეტონებად დაისტამბა რამდენიმე ნოველლა ბ. ელეფთერიძისა, რომელთაც სიმბოლიურ მიმართულების ელფერი აქვთ. ამ ნოველლებით ავტორმა გაუზიარა მკითხველს თავისი შეხედულება ზოგიერთს ღირს-საყურადღებო და საინტერესო საგნების გამო. ამიტომ ცოტას ხნით შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას ბ. ელეფთერიძის ნაწერებზე.

ვიდრე თვით ნოველლების განხილვას შეუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვა ვსთქვათ ამ ბელლეტრისტის სამწერლო კალმის განსაკუთრებითს გარეგან თვისების გამო. საერთო შთაბეჭდილება, რომელიც გულში ჰრჩება მკითხველს ბ. ელეფთერიძის ნაწერების წაკითხვის შემდეგ, თითქოს ადამიანს ტვინს უმძიმებს, გულს უღალავს და ჰქანცავს. ენა ბ. ელეფთერიძისა, ცალ-ცალკე სიტყვები რომ გასინჯოთ, საუკეთესო ქართულია; იმისი წინადადება მუდამ რჩეულის სიტყვებისაგან სდგება; არც ერთს თანამედროვე ქართველს მწერალს ისეთი სურათებიანი, მხატვრობითი ნაწერები არ მოეპოვება, როგორც ბ. ელეფთერიძეს; ქართულის ენის მიმოხვრა ბ. ელეფთერიძის ნაწერებში წმინდაა და ხშირად ძალიან შნოიანიც. მიუხედავად ამისა, ის საერთო მოქანცულება, რომელსაც ვგრძნობთ ბ. ელეფთერიძის ნაწერების კითხვისაგან, არ შეგვიძლიან თვით ნაწერების შინაარსს დაუქვემდებაროთ; ჩვენის აზრით, მიზეზი ნაწარების გარეგნობაა. გამოვარკვიოთ ნაკლულევანება მაგალითებით. „ჩემი ტკივილი სულთა-ძვრა იყო, მე მტკიოდა თვით გონება, ეს მძლეთა-მძლე იარაღი კაცისა, რომლის წყალობით ადამიანს თავი თვისი ბუნების ზღუდეთა შორის გვირგვინით შეემოსა“. ამ სიტყვებით აგვიწერს ბ. ელეფთერიძე იმ გრძნობას, რომელიც განიცადა მან სიკვდილის გამოსაცნობად ამაო ფიქრისაგან. სურათი, ან როგორც ბ. ელეფთერიძე იტყვის ხოლმე, სურათხატება მხოლოდ იმდენად ამშვენებს ენას და სიტყვასაც, რამდენადაც აზრის ან გრძნობის გამორკვევას და დახასიათებას უწყობს ის ხელს; უამისოდ სურათი უადგილოა, უნიადაგო, უაზრო და ტყუილად ამძიმებს მსმენელისა და მკითხველის ყურადღებას; უადგილო სურათი ჩვენს ყურადღებას უჯერო მიმართულებას აძლევს, ფიქრს გვიფანტავს, მთავარს საგანს გვავიწყებს და გაადვილების მაგიერ უფრო გვიძნელებს შინაარსის შეგნებას. ყოველს მწერალს ეს გარემოება მუდამ სახეში უნდა ჰქონდეს და მხოლოდ იქ იხმაროს სურათებიანი სიტყვა, სადაც ამას შინაარსი და ენა შეიმშვენებს. ბ. ელეფთერიძე ზემოდ მოყვანილ სიტყვებით სცდილობს დაგვისურათოს უნაყოფო ფიქრთა-დენის შედეგი, მოქანცულობა, და გვეუბნება „თვით გონება მტკიოდაო“, მკითხველს კი ეს სიტყვები არაფერს აგრძნობინებს, რადგანაც მთავარი საგანი—სიკვდილის გამოცნობაა—და რა-კი გონება ამ ამოცანას ვერ შესწვდა, ადამიანს თავისი არარაობა, უძლურება, უკმაყოფილება უნდა ეგრძნო და არა გონების ტკივილი... ადამიანის ბუნება ისეა მოწყობილი, რომ გონებით ჰფიქრობს, მაგრამ თვით ფიქრთა-დენის დროს თავისი გონება სრულიად ავიწყდება, ფიქრი თავისთავად მიმდინარეობს... თითონ გონება განყენებითი, ჩემის აზრით, მეტაფიზიკური მცნებაა... გონება, როგორც აზროვნების იარაღი, მხოლოდ ჩვენი წარმოდგენაა, რომელიც მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც იდამიანის მეტაფიზიკური ოცნება ფიქრის ან აზრის საგნად თვით აზროვნებას გაიხდის. „გონების ტკივილი“ შესაძლოა გამოიყენოს მწერალმა როგორც სურათი აზროვნების უძლურებისა, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც უკვე მოჰლლის მკითხველს აზრთა დენით... მაინცა და მაინც ეს სურათი მძიმეა და აზრში სიმარტივე არ შეაქვს. „ჩემი ტკივილი სულთა ძვრა იყოვო“, ამბობს ბ. ელეფთერიძე. ჩვენის ბელეტრისტის აზრით ეს სიტყვებიც სურათს უნდა ჰხატავდნენ, მაგრამ ნამდვილად-კი ფუჭი სიტყვების მეტი აქ არაფერია. „სულთა ძვრა“—ეს ხმოვანი სიტყვა ყალბი წარმოდგენაა; ვისი სულები იძვროდა—მკითხველი ამას ვერასოდეს ვერ მიჰხვდება, და რა უნდა იყოს სულების ძვრის ტკივილი—ამას, მე მგონია, თვით ბ. ელეფთერიძეც ვერ წარმოიდგენს. თვით გონებას ბ. ელეფთერიძე ჰმარტავს, როგორც კაცის მძლეთა-მძლე იარაღს, ალბად, იმ განზრახვით, რომ შთაბეჭდილება გააძლიეროს, მაგრამ ერთი სიტყვა „გონება“ გაცილებით მეტს ამბობს, ვიდრე „კაცის მძლეთა-მძლე იარაღი, რომლის წყალობით ადამიანს თავი თვისი ბუნების ზღუდეთა შორის გვირგვინით შეემოსა“. თუ მაინცა და მაინც საჭიროდ მიაჩნდა გონების ძლიერება აღენიშნა, მარტივად უნდა მიემატებინა გონებისთვის სიტყვა „მძლეთა-მძლე“ და განძრახვა აუსრულდებოდა; თუ აუცილებელი საჭიროება იყო აღენიშნა ისიც, რომ გონებამ ადამიანი მსოფლიოს მეფედ გახადა, საკმარისი იქნებოდა ორი სიტყვა კიდევ დაერთო „ადამიანის დამაგვირგვინებელი.“ მაშინ მთელი ფრაზა ოთხის სტრიქონის მაგიერ ერთს სტრიქონს დაიჭერდა და ასე წაიკითხებოდა: „თვით მძლეთა-მძლე, ადამიანის დამაგვირგვინებელი გონება მტკიოდა“. ამ გვარად, ჩემის აზრით,

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2041.

თებამ გადაარჩინა საფრანგეთის დემოკრატია განსაცდელისაგან და ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის სოციალისტთა უმრავლესობას ჟორესისა და მილერანის მეთაურობით. მილიერანის შესვლა ვალდეკის კაბინეტში არ მოიწონეს გედმა და მისმა მომხრეებმა; მათის აზრით, მილიერანმა სოციალიზმის პრინციპი დაარღვია, ამიტომ ამის შემდეგ მომხდარ არჩევნებში გედისტებს განზედ ეჭირათ თავი, რამაც,ცოტა არ იყოს, შეასუსტა სოციალისტთა პარტია არჩევნებში. ჯერაც არ შეწყვეტილა დავა და კამათი ჟორეს-მილიერანის „კომპრომისის“ შესახებ. მაგრამ, როგორც უნდა გადაწყდეს ეს დავა, სულ ერთია, იმას ვერავინ იტყვის, ვითომც ჟორესისა და მილიერანის ტაქტიკა იმ მომენტში მავნე იყო და დემოკრატიის ღალატს მოასწავებდა; პირიქით, ისტორია არ დაივიწყებს დემოკრატიის ამ წარმომადგენელთა სამსახურს რესპუბლიკის წინაშე.

ასეა თუ ისე მილიერანის ხალხისადმი სამსახური დიდია და დემოკრატიის ინტერესებისათვის ღალატი მას არ ჩაუდენია. მაგრამ დ. თოფურიძე სხვა აზრისაა ამის შესახებ. დეე იყოს, მხოლოდ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ მეტად სასაცილო გარემოება: ბ. თოფურიძე დარწმუნებულია, რომ მილიერანისმ იერ ბურჟუებისათვის დახმარების აღმოჩენა რესპუბლიკის დასაცველად სოციალიზმის ღალატი იყო, ხოლო პარმენ ქიქინაძისა და ამხ. გაშმაგებული ბრძოლა ჩარჩ-ექსპორტებთან ერთად შეერთებით,ემერიკების გამოქომაგება, ზდანოვიჩის მაგიერ დ. ერითავისა, კალატოზიშვილების და სხვათა წამოყენება—ნამდვილ დემოკრატიის შესაფერისად მიაჩნია. მილიერანი ნამდვილი დემოკრატი, სოციალისტი კი არ არის, არამედ ფრჩხილებში ჩასასვამი სოციალისტია, რადგან, როდესაც რესპუბლიკასა და დემოკრატიას გასაჭირი კარს მოადგა, ვალდეკ-რუსსოს მხარი დაუჭირა; კვალელები კი სპეტაკი დემოკრატები და ხალხის ერთგულები არიან მაშინაც კი, როდესაც ემერიკებს აძლევენ მხარს შავი-ქვის მრეწველთა საბჭოში ერთის თავმჯდომარის მაგიერ მეორეს დასკუპებისათვის. ამფერუმ, ნამდვილო და სპეტაკ დემოკრატებო! რა არის ეს? ხალხის თუ თავის თავის მოტყუება? ჩვენა გვგონია, რომ უფრო თავის თავისა, რადგან ხალხის შეგნებული ელემენტი, ალბად, გულში იცინის, როდესაც კითხულობს ბ. თოფურიძის თავის თავის ქებას („კვალელების ფიზიონომია საკმარისად გამორკვეულია და **ზნეკეთი**“) და მილიერანის ცოტა არ იყოს აბუჩად აგდებას; ხალხის შეგნებული ელემენტი, ალბად, გაოცებული შეჰყურებს ბ. პარმენ ქიქინაძის გაშმაგებულსა და თავ-განწირულს ბრძოლას შავი-ქვის მრეწველთა საბჭოში ერთის ინტელიგენტის მაგიერ მეორე ინტელიგენტის გასაყვანად.

შეერთებაც არის და შეერთებაც. საფრანგეთში და, არათუ საფრანგეთში, ყველგან, სადაც-კი დასი შეგნებულად მოქმედობს და ვნებათა ღელვის ტალღას არ გაუტაცნია, ისეთი შეერთება შეუძლებელია, რომელიც ძირს უთხრის თვით საქმეს, შეერთება ანტისაზოგადოებრივ ელემენტებთან ყოვლად შეუძლებელია. როდესაც უკიდურესი მემარცხენე უერთდება უკიდურეს მემარჯვენეს რაიმე ერთ კონკრეტულ საქმისათვის, ეს შეერთება ისევ პარლამენტალურ ბრძოლის ნიადაგზე ხდება და მემარცხენე არასოდეს არ დათმობს არც ერთ თავის პოზიციას, არც ერთ მუხლს თავის პროგრამისას. თუ მემარჯვენე დასის ბელადი გაჰბედავს და მარკოვსკისავით იტყვის, მე კრიტიკით არ შემეხოთო, მემარცხენენი მაშინვე წინააღუდგებიან ასეთს თავხედობას; *) თუ მემარჯვენე ემერიკივით წინააღუდგება მრეწველებზე გადასახადის მომატებას და ამ გადასახადით მუშების დახმარებას, უკიდურესი მემარცხენე ტაშის ცემით არ მიეგებება ასეთ წინადადებას; თუ მემარჯვენე იმასა ცდილობს, რომ მსხვილ კაპიტალისტებს რაც შეიძლება მეტი ხმა ჰქონდეს და წვრილს ნაკლები, უკიდურესი მემარცხენე სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევს; თუ უკიდურეს მემარჯვენეს დამცველი გაზეთში პალმივით გამოაცხადებს თვითმართველობა უნდა მოისპოსო და თავის განცხადებით საქმეს უფუჭებს თვითმართველობას, უკიდურესი მემარცხენენი ამ დროს მხარს არ დაუჭერენ საზოგადო მტერს და სხვა და სხვა. კვალელები-კი სწორედ ამგვარად შეუერთდნენ ემერიკ-კალისტრატ-მარკოვსკებს. მათი შეერთება შეუწყნარებელი კომპრომისია და ნაყოფია იმისა, რომ არავითარი გარკვეული პროგრამა არა აქვთ მრეწველთა კრებაზე სამოქმედოთ. ასეთი პროგრამა რომ ჰქონდეთ, ყოვლად შეუძლებელია ჩარჩ-ექსპორტერების ქომაგობა, იმ ჩარჩ-ექსპორტერებისა, რომლის ბელადი თურმე ურცხვად თავის კერძო საქმეებს აკეთებს, როდესაც მრეწველნი პეტერბურგში საერთო საქმის გასაკეთებლად აგზავნიან. ამგვარ კომპრომისით მხოლოდ თავის თავის შერცხვენა შეიძლება და არა ხალხის სამსახური. საზოგადო საქმე და ხალხის სამსახური რომ არ დაევიწყებოდათ კვალელებს, ისინი პირადობის ნიადაგზე-კი არ გადიტანდნენ ბრძოლას, არამედ საქმიან ოპპოზიციას შეადგენდნენ ბ. ზდანოვიჩის წინააღმდეგ და მტკიცედ გამორკვეულის პროგრამით დაიცავდნენ მარტო მუშების ინტერესებს. ეს-კი სასარგებლო იქნებოდა ხალხისა და თვით მრეწველობისათვისაც. ახლა-კი, პიროვნების წინააღმდეგ ბრძოლამ და უმზგავსო კომპრომისმა კვალელები მეტად შორს გაიტაცა და სხვათაშორის შემდეგ უაზრო უკიდურესობამდე მიიყვანა.

როგორც წინად აღვნიშნეთ, წარსულ კრებაზე კვალელების დევიზი იყო—სულ-ერთია ვინც იქმნება, ოღონდ ზდანოვიჩი ნუ იქმნებაო, და კალისტრატეს მიერ არჩეულ კანდიდატს მიემხრენ; ახლა, პირადის ბრძოლით დაბრმავებულებმა უარესიც გამოაცხადეს. „კვალის“ უკანასკნელსავე №-ში ბ. გარეშე მეთვალყურე სწერს: „ასეთი თვითმმართველობა (ესე იგი, შავი-ქვის მრეწველთა საბჭო და კრებაო) ნურამც ყოფილა, იმის გაუქმებით ჩვენ არაფერს არ ვკარგავთ. მრეწველთა კლასი აღარ არის დღეს ის კლასი, რომელიც ხელს უწყობს ნამდვილ თვითმმართველობის აღორძინებას და განვითარებას. ეს პრინციპი ანუ იდეა სულ სხვა კლასში იდგამს ფეხს და მხოლოდ აქედან უნდა მოველოდეთ ხსნას“. ამ სტრიქონებს ვერ დასწერდა ხალხის ნამდვილი მეგობარი და გარკვეულის პროგრამის მიმდევარი. დღეს თვითმმართველობის გაუქმება მოასწავებს საქმეების ადმინისტრაციისთვის გადაცემას. იქ აღარც კრიტიკა შეიძლება, აღარც დასის შედგენა, აღარც პროგრამების დაპირდაპირება, აღარც საზოგადოებრივი ბრძოლა. როგორიც უნდა იყოს ახლანდელი თვითმმართველობა, მრეწველთა საქმეს პოლიციაზე უკეთ ასრულებს და ამასთანავე დღევანდელი თვითმმართველობა დახმარებას უჩენს სწორედ იმ კლასის თვითცნობიერების გაძლიერებას, რომელმაც მომავალში ნამდვილი თვითმმართველობა უნდა დაამყაროს. ამ კლასის წარმომადგენლების ვალია დაიცვან ასეთი თვითმმართველობაც და შეგნებულის ბრძოლით, თავის საკუთარის პროგრამის სხვა პროგრამის წინ დახვედრით ხელი შეუწყონ ხალხის თვითცნობიერების საქმის წინ წაწევას. ბ. თოფურიძის შედარებას რომ მივმართოთ, ამ შემთხვევაში უფრო გამოგვადგება და ცხადჰყოფს კვალელების დაბრმავებას, როდესაც ისინი ამბობენ—ახლანდელის თვითმმართველობის გაუქმებით არაფერს ვკარგავთო. ეს იმას ემზგავსება, საფრანგეთის სოციალისტებმა რომ გამოაცხადონ—ნურამც ყოფილა ოპპორტუნისტთა ბურჟუაზული რესპუბლიკა, იმის გაუქმებით არაფერს დავკარგავთო,—და დიქტატურის დამყარებას ხელი შეუწყონ. არა, ასეთს უგუნურებას ისინი ვერ გამოაცხადებენ და ვერ ჩაიდენენ, თუმცა კვალელებზე ნაკლებ არ ესმისთ, რომ ნამდვილი თვითმმართველობის „პრინციპი ანუ იდეა სულ სხვა კლასში იდგამს ფეხს და მხოლოდ აქედან უნდა მოველოდეთ ხსნას“...

ამრიგად ჩვენ ისევ იქა ვართ: კვალელებმა დიდი დანაშაული ჩაიდინეს, რომ კალისტრატ-ემერიკ-მარკოვსკებს მხარს უჭერენ; ხოლო რამდენად უხერხულად და შეუგნებლად მოქმედებენ ამ საქმეში, ამას შემდეგ წერილიდან დავინახავთ.

---

*) ჩვენი პარალელები ცოტათი უხერხულია, მაგრამ ჩვენი ბრალი არ არის: ბ. თოფურიძის სურვილია შავი-ქვის მრეწველთა კრებაზე ატეხილი განგაში საფრანგეთის პარტიების ბრძოლას შეადაროს.

* * *

კიდევ შიათურელთა კრების გამო

—

„კვალი“ განაგრძობს თავის ზრდილობიან პოლემიკას: ცნობის ფურცლელები „სიტყვით სცდილობენ დაუმტკიცონ ქვეყანას, რომ ისინი ჭეშმარიტი მოტრფიალენი არიან დიად იდეათა განხორციელებასა, საქმით კი მუდამ ღალატობენ თავის სიტყვას, მუდამ ფარისევლობენ... ყურ-მოჭრილი მონები ხდებიან ქონებით ძლიერ ბურჟუაზიისა“ და სხვა. თვითონ „კვალს“ კი, რასაკვირველია, „მეცნიერულად გაუთვალისწინებია მომავალი ცხოვრების პირობები და კიდევაც სცდილობს უკეთეს მომავალს შეუფარდოს თავის მოღვაწეობის პროგრამა, თავისი მოქმედება... იგი მეცნიერულად ამტკიცებს, რომ მხოლოდ ის მოქმედება გვაახლოვებს დიდ მიზანთან, რომელიც პირნათლად, უკომპრომისოდ ატარებს ცხოვრებაში თავის პრინციპებს“. რასაკვირველია, ვინც ასეთ „მეცნიერულ, ჭეშმარიტ“ აზრებს არ ეთანხმება, იგი ფარისეველია, ხალხის მატყუარა, ინსინუაციების შემთხზველია, პირად და კომერციულ ინტერესებისათვის“ *).

რამდენიც სახარება არ უნდა წაიკითხო მგლის თავზე, იგი მაინც ტყისაკენ იყურება: კვალის ახლად მოვლენილი მედროშე მოპირდაპირის პატივისცემას, ზრდილობიან სიტყვა-პასუხს ვერ ისწავლის. კოკასა შიგან რაც არის, იგივე წარმოსდინდების.

გადავიდეთ თვით საქმეზე, თუ შეიძლება საქმეზე ლაპარაკი ისეთ მოკამათესთან, როგორიც დ. თ—ეა, და ხელს ჩავჭიდებ სწორედ იმ ანალოგიას, რომელიც „კვალის“ მეთაურის ავტორმა მოიყვანა თავის წერილში. მართალია, ცოტა სასაცილოც არის შევადაროთ მარგანეცის მრეწველთა კრების პარტიათა პატარა ბრძოლა იმ დიდ ბრძოლას, რომელიც საფრანგეთის დაწინაურებულმა პარტიებმა გადაიხადეს, როცა რეაქციონერების შეკრებილმა ძალამ იერიში მიიტანა რესპუბლიკაზე, მაგრამ ანალოგია მაინც არსებობს მათ შორის.

მართლაც, რამ დაუახლოვა ჟორესი, მილიერანი და საფრანგეთის სოციალისტების დიდი-უმრავლესობა ვალდეკ-რუსსოს? იმ თვალ-

---

*) სასაცილოა, რომ დ. თ. ჩემზე ამბობს „ილანძღება“ ო.

ბ. ელეფთერიძის ნაწერების ერთი ნაკლი ურათების სიმძიმეა და მოუქნელობა.

ს ამოვწეროთ კიდევ ერთი ადგილი მაგალითისათვის:

„მისი სამფლობელო კაეშანი, მწუხარება უნდა ყოფილიყო... აი ამ გრძნობათა სამთავროში მოცილე არავინ ჰყოლებოდა...

მწუხარება რომ თვით მხატვარი ყოფილიყო და თავისს თავის დახატვა სდომებოდა, მგონია, ამაზედ უკეთესს სურათს ვეღარ შეჰქმნიდა...

მხოლოდ ასეთი ნორჩი, ასეთი ჰაეროვანი რად იყო იგი ტანჯვა-ვაების წილხდომილი?

მშვენება ხომ იგივ ბედნიერებაა... და რა უნდოდა ამ ტურფა ქმნილებასთან მსახვრელ ხელს კაეშანისას?

რად ჩასტბორებოდა ღრმა მორევად ქალს მშვენიერ თვალებში რაღაც იდუმალებით მოცული მჭმუნვარება?

რატომ ეთერივით ლაღი ღიმილი არ უკრთოდა ტუჩებზე და რად გადაჰკრთოდა ზედ მწუხრივით გამოურკვეველი მეტყველება ტანჯულ ადამიანისა?

ნუ თუ ცხოვრებამ გასწირა?

მაგრამ რად, როდესაც დამამშვენებელ გვირგვინად დაედგმოდა იგი ამ ცხოვრებას?..“

მთლად ეს ადგილი მხოლოდ იმ განზრახვით არის დაწერილი, რომ აღინიშნოს ის მწუხარების გამომეტყველება, რომელიც სურათზე დახატულს მშვენიერს ქალს ემცნეოდა. როგორც მკითხველი ჰხედავს, ერთისა და იმავე აზრის გამოსათქმელად ექვსი, შვიდი სურათი შეუქმნია ბ. ელეფთერიძეს. ეს მრავალსურათიანობაა, რომელიც იმდენადვე ჰვნებს ნაწერს, რამდენადაც მრავალსიტყვაობა ჩვეულებრივს ბაასს. გარდა ამისა, უძლიერესი სურათი თავში აქვს მოქცეული ბ. ელეფთერიძეს და იმის შემდეგ სხვა სურათები მკითხველზე შთაბეჭდილებას ვეღარ ახდენენ. თვით მწუხარება რომ მხატვარი ყოფილიყო, თავისს თავისთვის უკეთესს სურათს ვერ შეჰქმნიდაო,—ამ სიტყვების შემდეგ აღარაფერი საჭირო არ არის. თვალებში მორევად ჩატბორებული მჭმუნვარება და გამოურკვეველი მეტყველება ტანჯულ ადამიანისა—შთაბეჭდილებას აქარწყლებენ და არ აძლიერებენ.

აი, ჩემის ფიქრით, ის სტილისტიური ნაკლულევანება, რომელიც ბ. ელეფთერიძის მკითხველს ჰღლის და უშლის თავისი ყურადღება მთავარს საგანს მიაპყრას. ეს ნაკლულევანება ადვილი ასაცილებელია, მით უმეტეს, რომ ბუნებრივი მოძრაობა მწერლის ფანტაზიისა შეუძლებელია ეწინააღმდეგებოდეს თანდათანობას და სიმარტივეს.

—

ბ. ელეფთერიძე თავის ნოველლით „ნირვანა“ ისეთს მძიმე პრობლემას მოეპიდა, როგორიც არის სიკვდილი და ამ ქვეყნიურ ცხოვრება-მოქმედების აზრი, მოეპიდა, მაგრამ, ჩვენის ფიქრით, ვერ დასძლია. სიკვდილი, არარაობა—თავზარ დამცემი სიტყვებია; მხოლოდ ფიქრი, მხოლოდ იმის გახსენება, რომ მოვა დრო, დაჰკრავს საათი და არარაობად ვიქცევით, განუსაზღვრელს, შემაძრწუნებელს გულის ტკივილს, მწუხარებას გვაყენებს. ჩვენს გონებას, რომელსაც მხოლოდ მაშინ შეუძლიან იმოქმედოს, როდესაც საგანი აქვს, ვერ წარმოუდგენია სიკვდილი, რადგანაც იგი არარაობაა და ყოველივე საგნის უარყოფა. აქედან წარმოსდგება ის უცხო გრძნობა, რომელსაც სიკვდილის შიში ეწოდება. ადამიანის გონება მუდმივს ცდაში იმყოფება, ისეთი რამ ნიადაგი გამოსძებნოს, რომელზედაც შეიძლებოდეს სიკვდილის დამჩრდილველ შენობის ამოყვანა და ამით აშფოთებულის სულის დამშვიდება. თუ ადამიანს საიქიო ცხოვრების შესახებ რელიგიური რწმენა აქვს, იმისთვის ეს საშინელი პრობლემა არ არსებობს, იგი ბედნიერია... მაგრამ ჩვენს დროში სარწმუნოებას მხოლოდ სიტყვით, ან უკეთ რომ ვთქვათ სამღვდელოების წიგნებში ჩაწერილის სიებით ანგარიშობენ და არა გულში ჩასახულის რწმენით... სიკვდილის პრობლემა ვიწროდ დაკავშირებულია ცხოვრების აზრის, მნიშვნელობის საკითხთან. თუ ერთს წუთს სამუდამოდ შეუძლიან ჩემი არარაობად გადაქმნა, ჩემი წაშლა, გაუქმება, და ეს წუთი აუცილებლივ დადგება დღეს ან ხვალ—მაშ რაღა აზრი აქვს ჩემს არსებობას, რისთვისა ვშრომობ, რას ვეტრფიალები, რატომ მე თითონ არ მოვისპობ სიცოცხლეს?.. უნებურად კითხულობს ადამიანი. მომეტებული ნაწილი ამ საკითხს პრაქტიკულად უყურებს, სიკვდილის დაშურება არ უნდა, ის თავის დროზე თითონ მომიკითხავს, სიცოცხლეს კი ვეღარ დავიბრუნებ და ამიტომ უნდა განვაგრძო ჩემი ცხოვრება, ვიდრე ცოცხალი ვარო... ეს უპრინციპო, თითქმის უაზრო შეხედულება ადამიანს გამობრუნების გზაზე აყენებს, რომელსაც იგი შეჰყავს საყოველდღეო იდეალების სამთავროში, სადაც სიამოვნება, ფულის შეძენა, სახელის მოპოვება და სხვა ამგვარი მისწრაფებანი სრულებით ავიწყებენ კაცს ცხოვრების აზრის პრობლემას. ასეთია ჩვეულებრივი, თითქმის საყოველთაო ისტორია იმისი, თუ როგორ უქცევს გვერდს ადამიანი სიკვდილის პრობლემას და ცხოვრების აზრის გამორკვევას. ეს საგანი მწვავდება და აღარ კმაყოფილდება ასეთის უპრინციპობით მაშინ, როდესაც იმას ზედ დაერთვის ზნეობრივი არსებობის პრობლემა. მაშინ ადამიანმა თავის ყოფნას ისეთივე მკვიდრი, მტკიცე ნიადაგი უნდა მოუპოვოს, როგორც სიკვდილი და მუდმივობაა ურყეველი და უძრავი. უამისოდ თავის მოქმედებას ადამიანი ისე უცქერის, როგორც გულის გადასაყოლებელს საშუალებას, არ აფასებს არც თავის საქმეს, არც თვით სიცოცხლეს, ეკარგება ენერგია, მთელს მის არსებას აპატია იპყრობს და ამ პროზით ელის სიკვდილს, რომელიც თავისს საშიშარს სახეს მაინც არა ჰკარგავს... ბ. ელეფთერიძის ნოველლა ჩვენ არ გვაკმაყოფილებს სწორედ იმიტომ, რომ იგი იმის წარმოდგენით სრული არარაობაა და სიცოცხლეს კი აზრს აძლევს მხოლოდ სახელი, დიდება, რომელიც სიკვდილის შემდეგ ჰრჩება ადამიანისაგან ამ ქვეყნად. სახელი და დიდება ადამიანის გადამეტებულ თავმოყვარეობის დამაკმაყოფილებელია და, როდესაც თვით ადამიანი არარაობა იქნება, მაშინ, რა თქმა უნდა, ამ სახელს და დიდებას არავითარი მიმზიდველობითი ძალა აღარ შეჰრჩება. ბ. ელეფთერიძე „ნირვანაში“ გაკვრით და „უკვდავში“ უფრო ნათლად გვეუბნება,

საჩინო გარემოებამ, რომ საფრანგეთის ყველა ბნელმა ძალებმა პირი შეჰკრეს და სასიკვდილო ომი გამოუცხადეს რესპუბლიკას: ვალდეკ-რუსსო იმ წამს ბურჟუას ინტერესების დამცველი როდი იყო, არამედ მთელ დემოკრატიის ენერგიული მებრძოლი გალაღებულ რეაქციის წინააღმდეგ. ეს დაინახეს, ამას მიხვდნენ ისეთი შორს-გამჭვრეტი პოლიტიკოსები, როგორც ჟორესი და მილიერანია, და მხარში ამოუდგნენ ვალდეკ-რუსსოს, რომელსაც წინად ებრძოდნენ. ასეთის გონიერ ტაქტიკით ხსენებულ მოღვაწეებს არ უღალატნიათ თავიანთ პრინციპებისათვის.

ჟორესსა და მილიერანს რომ განეგრძოთ თავიანთი შეურიგებელი პოლიტიკა და გვერდში ამოსდგომოდნენ დე-მენსა და ლაზის, გამარჯვებული და მოგებული რეაქცია იქმნებოდა. და ნუ-თუ ეს სასურველი იყო საფრანგეთის დემოკრატიისათვის? დოგმატიკი გედი ვერ მიჰხვდა საქმეთა ნამდვილ მდგომარეობას და განაგრძობდა თავის შეურიგებელ პოლიტიკას. რა მოჰყვა გედის „სპეტაკს" ტაქტიკას გასულ არჩევნების დროს? ისა, რომ სოციალისტების რიცხვი ეხლანდელ პარლამენტში ნაკლებია, ვიდრე წინა პარლამენტში იყო.

არ ვიცი, რას უწოდებდნენ გედისტებს მოწინააღმდეგენი (დ. თ. ამბობს—ნაციონალისტებს, რეაქციონერებს და მელინისტებს უწოდებდნენო), მაგრამ ამის თქმის უფლება კი ჰქონდათ, რომ გედისტები, თავიანთ დოგმატიურ სიბრმავის გამო, მხარს აძლევდნენ რეაქციას და არჩევნების დროს ამ რეაქციის ზოგი მტერი დაამარცხეს.

ვინ რა მოიგო გედისტების შეურიგებელ მოქმედებით? ან იქნება ბ. დ. თ.—ს ჰგონია, რომ „რაც უარესია, ის უმჯობესია" მომავლისათვის.

ჩვენ პატარა საქმეს—ქიათურელების კრებას რომ მივუბრუნდეთ, სრული უფლება გვაქვს ვსთქვათ, რომ მეხუთე კრებაზე კვალელები მხარს აძლევენ ექსპორტერებს, ე. ი. ქართველ წვრილ მრეწველთა გამანადგურებელს, და ინჟენრებს, თვითმართველობის ცხად მტრებს.

სასაცილო არგუმენტი მოჰყავს ეხლა ნათქვამის წინააღმდეგ „კვალი"-ს მეორე თანამშრომელს ბ. არიოსს. გარეშეს „ლოღიკით, ამბობს ენა-მახვილი ავტორი, მე და შენც მკითხველო, ეს ლოღიკის „გარეშე" მდგომი ქურდ-ავაზაკებათაც ჩაგვთვლის რატომ „გოროდოვებათ" არა ხართ, ქურდებსა და ავაზაკებს არ იჭერთო. კიდევ კარგი, რომ ჩვენ პრისტავებს ასეთი ლოღიკა ჯერ არ შეუთვისებიათ, თორემ, შენი მტერია ყველანი, მგონი „გარეშეც" ციხის კედლებში ამოვყოფდით თავს"-ო.

როგორ მოგწონს, მკითხველო, ანალოგია? ინჟენერი მარკოვსკი მრეწველთა კრებაზე აცხადებს—მე სხვისი კრიტიკის უფლება მაქვს, მე კი კრიტიკის გარეშე ვდგევარ, არ გაბედოთ ჩემ წინააღმდეგ რისამე თქმაო. მე ვითხოვდი კვალელისაგან, რომ მას დაეგმო მარკოვსკის ასეთი უმზგავსი სიტყვები და ქცევა და ჩემი ეს მოთხოვნა ბ. არიოსს ისე გაუგია, თუ სურს სხვას გააგებინოს, ვითომც მე ყველას „გოროდოვობას" ვაკისრებდე. ამისი მთქმელიც რომ სხვას ლოღიკას უწუნებდეს, როგორ არ უნდა გაგეცინოს. ინჟენერ მარკოვსკის სიტყვა კრების უფლების გადალახვაა, კრების აბუჩად აგდებაა; მე ვითხოვდი, რომ კრების წევრს კრების უფლება და პატივი დაეცვა და ეს „გოროდოვობა" არისო, გაიძახის ბ. არიოსი.

აბა ზდანოვიჩს ან რომელსამე მის მომხრეს წამოსცდენოდა მზგავსი სიტყვები, როგორ ყალყზე შესდგებოდნენ კვალელები!

გარეშე

P. S. ჩემი უკანასკნელი წერილი ბ. დ. თ.—ს ბოდიშის მოხდა ჰგონია. „გარეშე" უკვე ბოდიშს იხდის და მზად არის არ გაიმეოროს უმგვანო ცილის წამება"-ო. დ. თ.—ის მხრივ ცილის წამებაზე ლაპარაკი იგივეა, რაც ბ. არიოსის სხვის ლოღიკაზე ოხუნჯობა. რაც შეეხება „ბოდიშს", ნეტარ არიან მორწმუნენი! ეგონოს. გ.

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. პირველი მინისტრი კომბი დღემდე იმ საკონგრეგაციო სკოლების აზრებს იხილავს, რომლებიც მთავრობის ნებადაურთველად არიან გახსნილნი. კომბმა 2,200 ამნაირი თხოვნა კიდეც უარ-ჰყო.

◆ ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრის ამხანაგმა ბერარმა მონმერლში სიტყვა წარმოსთქვა და რესპუბლიკელ პარტიას ურჩია, შეერთდით, თორემ ჩვენებური კლერიკალები დიდ საფრთხეს უმზადებენ რესპუბლიკასო. ბერარის შემდეგ სენატორმა პიშონმა ილაპარაკა, კომბის უკანასკნელ სიტყვას შეეხო და რესპუბლიკელებს არწმუნებდა, უბრალოდ აჩქარდით და სამინისტროს მეთაურს ტყუილად აბრალებთ ღალატსაო. ასოციაციების კანონის ასრულება მძიმე საქმეა და რესპუბლიკელები მოვალეები არიან, ბოლომდე მხარი დაუჭირონ კომბის სამინისტროს, რადგან სამინისტრომ ამ მძიმე საქმის ასრულება იდვა თავსაო.

ინგლისი. ინგლისი და გერმანია ერთად მოქმედებენ ვენეცუელაში. თვით მთავრობის მომხრე ინგლისელებსაც კი ჭკუაში არ მოსდით ეს ამბავი. შოვინისტები და ჯინგოისტებიც კი აუჩივლდნენ მთავრობას: ჩვენ მტერ გერმანიას რად დაუჭირე მხარიო. ლორდ როზბერიმაც გაჰკიცხა მთავრობა: ორიოდე კაპიტალისტის ვალის ასაღებად სახიფათო საქმეში გაება და ჩვენი ქვეყანა შეერთებულ შტატებს შეაჯავრაო. მუშების დეპუტატმა კეირ-გარდიმ მუშების კრებაზე ილაპარაკა და მკაცრად დაჰგმო მთავრობის პოლიტიკა: შინ ამდენი საქმე გვაქვს, ამდენი მუშა ხალხი ულუკმა პუროდაა დარჩენილი და ჩვენმა მთავრობამ კი ახალი ომი დაიწყოო. მუშების გაჭირვებაზე ყურსაც არ იბერტყს და ვიღაც ორიოდე კაპიტალისტის გულისათვის ვენეცუელას მიუხტა და ქვეყნის ფულსა ჰფლანგავს ამ უსამართლო საქმეზეო. გაზეთების საყვედურსა და ჩივილს ხომ ბოლო არა აქვს. ინგლისის მთავრობა, რასაკვირველია, უპასუხოდ არ დასტოვებდა ხალხის ჩივილს. ამ დღეებში ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრს ოსტენ ჩემბერლენს (კოლონიების მინისტრის შვილს) ვენეცუელის საქმის თაობაზე ულაპარაკნია და ხალხისთვის მთავრობის პოლიტიკა აუხსნია. ჩემბერლენს ეთქვა:

„ერთმა გამოჩენილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ (ლორდ როზბერიმ) სთქვა ამას წინად: ჩვენმა მთავრობამ ცოტაოდენ ვალის ასაღებად ძლიერ სახიფათო საქმეში გააბა ჩვენი ქვეყანაო. ეს ტყუილია. ვენეცუელა ცუდად მოექცა ბრიტანიის ქვეშევრდომებსა და გემებს, ᲓᲐ ბრიტანიის მთავრობა იძულებული იყო ვენეცუელასაგან დაკმაყოფილება მოეთხოვა. ამიტომ, როცა გერმანიის ელჩმა ივლისში ჩვენს გარეშე საქმეთა მინისტრს ლანსდოუნს მიჰმართა, ლანსდოუნმა უპასუხა: ინგლისს გადაწყვეტილი აქვს ვენეცუელას კმაყოფილება მოსთხოვოს და მზადაა გერმანიასთან საერთოდ იმოქმედოსო. კარგად ვიცი, რომ გერმანიასთან საერთოდ მოქმედება ჩვენს ხალხს არ მოსწონს, ისიც კარგად მესმის, თუ რისთვის არ მოსწონს ჩვენ ხალხს გერმანიასთან საერთო მოქმედება. გერმანიის პრესსა ისე მტრულად უყურებდა ინგლისს ამ უკანასკნელ წლებში, რომ ჩვენ ხალხს ნამდვილად შეაძულა გერმანია. მაგრამ პოლიტიკაში მარტო გრძნობით ვერ ვიხელმძღვანელებთ. აქაო-და გერმანიის პრესსამ გვაწყენინაო, ამ მიზეზით უარი ხომ არ უნდა შეგვეთვალა გერმანიისათვის. როგორ გგონიათ, განა უკეთესად გადასწყდებოდა ეს საქმე, ან განა ჩვენის საერთაშორისო მდგომარეობისათვის უმჯობესი იქმნებოდა, რომ გერმანიისათვის პირდაპირ უარი გვეტკიცა? ჩვენ რომ ზოგიერთის რჩევა ავასრულოთ და გერმანია ეხლა მარტოდ-მარტო დავტოვოთ, რა თვალით შემოგვხედავენ უცხო სახელმწიფოები? რომელი სახელმწიფო-ღა გვენდობა? რასაკვირველია, ძლიერ სამწუხარო იქმნება, რომ ჩვენმა ქცევამ შეერთებულ შტატებს გადაგვკიდოს, მაგრამ შტატების მთავრობა არას დროს არ დაგვემდურება ამ საქმეზე, რადგან კარგად იცის საქმის ყოველი გარემოება. არც ერთი სახელმწიფო არ უყურებს ისეთის პატივისცემით მონროეს დოქტრინას, როგორც ინგლისი, მაგრამ ამ დოქტრინის ძალით მტყუან სახელმწიფოს ხომ ვერავინ გაუწევს მფარველობას."

ახალი ამბავი

◆ ხვალისთვის **კრება დანიშნული სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისა.** სხვათა შორის, კრებამ უნდა განიხილოს აგრონომის ტარატინოვის მოხსენება კავკასიის სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის წარმატების შესახებ.

◆ **ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს** დღეს კრება აქვს დანიშნული. როგორც გვითხრეს, საკრებულო განიხილავს ტფილისის საბჭოს დადგენილებას სახელოსნო სასწავლებლის გამგე კომიტეტის არსებობის შესახებ.

◆ 2 თებერვლისათვის დანიშნულია შეერთებული კრება ტფილისის ქალაქის გამგეობისა, საფინანსო კომისიისა და ტეხნიკოსხმოსნებისა. კრებამ უნდა განიხილოს თავ. ჩოლოყაშვილის მიერ წარდგენილ ხელშეკრულების პროექტი ქალაქის **ქუჩების და მოედნების გაზით განათების** შესახებ.

◆ ტფილისში მცხოვრებ ებრაელთაგან პეტერბურგს **გაგზავნილ დეპუტაციას** დავალებული აქვს ითხოვოს მთავრობის წინაშე, ნება მისცენ ქალაქში ცხოვრებისა იმ ებრაელთ, რომელნიც 1885 წლამდეც აქ ცხოვრობდნენ, მაგრამ პოლიციის მიერ შედგენილს სიაში არ მოჰხვდნენ.

◆ სასოფლო-სამეურნეო საბჭომ განიხილა **საბაღოსნო სკოლის** გამგის წინადადება იმის შესახებ, რომ მოსწავლეთა პრაქტიკულ სამუშაოებისათვის მოეწყოს სანერგე თავ. ზ. ერისთავის მამულში. განიხილა აგრეთვე თვით თავ. ერისთავის განცხადება, რომელიც უფასოდ უთმობს ადგილს. საბჭომ პრინციპიალურად მოიწონა წინადადება და დაადგინა დაავალოს გამგესა და სკოლის სამეურნეო ნაწილის კომისიას ამ საქმის დაწვრილებით შემუშავება.

◆ სამშაბათს, 28 იანვარს, სხდომა ჰქონდა **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს.** სხვათა შორის, საბჭომ განიხილა მოხსენება ტფილისის საბაღოსნო სკოლის გამგისა. საბჭომ მოიწონა გამგის წინადადება და ნება დართო გამგესა და სამზრუნველო კომისიას მიიწვიონ სპეციალისტი მეფუტკრე, რომელმაც მოსწავლეებს მეფუტკრეობა უნდა შეასწავლოს. გამგე სთხოვდა აგრეთვე საბჭოს მოეწყოს საზოგადოების სადგომთან მაღაზია საბაღოსნო სკოლის ყვავილების გასასყიდად. საბჭომ გადასწყვიტა წარუდგინოს

რომ მკვდართა და ცოცხალ ქვეყანის შუა კიდევ კავშირი არსებობსო... ამ კავშირს ჰქმნის, ჩვენის ბელლეტრისტის აზრით, ის გარემოება, რომ ადამიანის მოქმედება უნაყოფოდ არა ჰქრება, იმას აუცილებლივ სხვათა ადამიანთა მოქმედება მოსდევს, და ამ გვარად იგი დაურღვეველის და დაუსრულებელის ჯაჭვით უკავშირდება სიცოცხლეს... ამ მხრივ ადამიანი უკვდავია. ეს აზრი ბ. ელეფთერიძის ნაწარმოებში საკმაოდ განვითარებული არ არის, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ იმის შეხედულებით სიცოცხლეს ფასს აძლევს მიზეზ-მოქმედების ძაფით დაკავშირება წარსულის სასარგებლო საქვეყნო მოქმედებისა მომავალთან. ეს შეხედულება ისევ ზემოდ მოყვანილს საკითხს ჰხვდება, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს არარაობად ქცეულ ადამიანისთვის მისი მოქმედების კავშირს მომავალთან? თუ სარგებლობას იტყვის ბ. ელეფთერიძე—ის ცოცხლისთვის არსებობს, და არა მკვდრისთვის.

ჩვენის ფიქრით, ბ. ელეფთერიძეს ფილოსოფიურ საგნების გამოსარკვევად აკლია აზრის სითამამე და შეუდრეკელობა... მხოლოდ ერთს საკითხზე იძლევა ის გადაჭრილს პასუხს: არსებობა, სიცოცხლე და „სასუფეველი", ე. ი. ის, რაც უნდა შეადგენდეს ადამიანის მოქმედების ჯილდოს, აქვე, ამ ქვეყნად უნდა ვეძიოთ, რადგანაც სიკვდილით არსებობას სრული ბოლო ეღება და ამ ქვეყნის გარეშე სხვა არაფერი არსებობსო. ამის შემდეგ ერთად-ერთი პასუხი, რომელიც შესაძლო იყო მოეცა ბ. ელეფთერიძეს იმის შესახებ, თუ რა არის „სასუფეველი", ასეთი უნდა ყოფილიყო: მეტის სიამოვნების განცდა, მეტის სიტკბოების მიღება ვიდრე ადამიანს მოძრაობის ნიჭი აქვს და სიკვდილის მსხვერპლად შეიქნება, მაგრამ ამისი თქმა ვერ გაჰბედა ᲓᲐ სასუფეველი წარმოგვიდგინა, როგორც ადამიანის გულზე ამოსული და ცათამდე მიყუდებული გრძნეული სვეტი, შემკული ადამიანთა სურათებით.

—

ბ. ელეფთერიძის შარშანდელ სიმბოლიურ ნაწერთა შორის პირველი ადგილი „სურათს" უნდა დაეთმოს. ამ ნოველლის შინაარსი შემდეგია: ახალგაზრდა ნიჭიერს მხატვარს ერთი, კალმით დასახატი, მშვენიერი ქალი უყვარს და ამ ქალის სურათის ტილოზე გადაღებას განიზრახავს; ალტაცებული მხატვარი დაუღალავად ჰმუშაობს და მთელს თავის ძალ-ღონეს ანდომებს ამ სურათს. მისდა სამწუხაროდ, აქ ერთი უცნაური შემთხვევა იჩენს თავს; უცნობის მიზეზისა გამო გადიღებს თუ არა მხატვარი ტილოზე თავის საყვარელ ქალის რომელიმე ნაწილს, იმავე წუთს თვით ქალს ის ნაწილი უქრება და უკვდება. ამისდა მიუხედავად მხატვარი სურათს მაინც თავს არ ანებებს და როდესაც იგი დაასრულა, ქალმა უკანასკნელად ამოისუნთქა და მიიცვალა სამუდამოდ. ეს სურათი ხელოვნების საუცხოვო ნაწარმოები გამოდგა, თვით დედანზე უმშვენიერესი და უმჯობესი, თუმცა მხატვარს ძვირად დაუჯდა იმისი ასრულება.

ამ ნოველლის პირველს გადაკითხვაზე გეგონებათ, ვითომც ბ. ელეფთერიძეს იმ აზრის გამოთქმა უნდოდეს, რომ ხელოვნება სინამდვილეს უარჰყოფს და აუქმებსო. მაგრამ ეს აზრი შემცდარია... მხატვარი, სურათის ავტორი, ამ უბედურების შემდეგ უგზო-უკვლოდ დახეტიალებს, და თუ ოდესმე კიდევ ჰნახა ტილოზე გადასაღებად მოსახდენი საგანი და შეიყვარა იგი, ხელახლა იწყებს მუშაობას. უეჭველია, იმისი ნიჭი მაშინაც ამ სურათის მზგავსს ნაწარმოებს შეჰქმნის... ჩვენის ფიქრით, ბ. ელეფთერიძემ ამ მოხდენილის და შნოიანის ნოველლით გვამცნო, რა შეადგენს ხელოვნების მომაჯადოვებელს და ამასთანავე წყნარს საიდუმლო ძლიერებას. წუხილი სულისა ორგვარია—გვეუბნება ბ. ელეფთერიძე; ჩვენ გავაფართოვებთ და ვიტყვით, რომ ყოველი გრძნობა ორ ნაირია. არის გრძნობა, „რომელიც ცას ელამუნება, განყენებულს სფერაში დაეძებს დამამშვიდებელს საზრდოს,—ის მხოლოდ აღმიტაცებს, ცას დამანახვებს თავისის დიადობით"... გრძნობა კი „ამ ქვეყნიური, ცხოველს ცხოვრებაზე დამოკიდებული, მტანჯავს, მწვავს, თითქოს მე ვიყო მისი მიზეზი, თითქო ვგრძნობდე მის შეხებასო". ეგრედ წოდებულს ამ ქვეყნიურს გრძნობას მუდამ თანშეზრდილი აქვს სხვადა-სხვა სახის სურვილი... გრძნობას სიყვარულის, სიძულვილის, თავმოყვარეობის, სიამაყის, მწუხარების და ყველა სხვას აუცილებლივ ჩვენს გულში რაიმე სურვილი დასდევს. სინამდვილე, ან სინამდვილის ცალკერძო საგნები მუდამ ისეთს გრძნობას გვიღვიძებენ, რომელთაც ნდობა, სურვილი უეჭველად თან დაჰყვებიან. ხელოვნების ნაწარმოები კი „უსურვილო გრძნობას" გვგვრის. სინამდვილე რომ ხელოვნების ნაწარმოებად გადაიქცევა, იმას უთუოდ ეკარგება ის მხარე, რომლითაც ჩვენში სურვილების გაღვიძება შეეძლო. სურათის დედანი, მშვენიერი ქალი, როგორც საყვარელი არსება და მეგობარი, მხოლოდ იმ დრომდე არსებობდა, ვიდრე იმის სახეს მხატვარი ტილოზე გადიღებდა, მას შემდეგ კი იგი მიიცვალა, განჰქრა, როგორც ცოცხალი არსება, და დარჩა მხოლოდ სახება მისი მშვენიერებისა, რომელსაც მარტო-ოდენ ესტეტიურის სიამოვნების აღძვრა-ღა შეუძლიან. ესტეტიურის გრძნობის დამახასიათებელი თვისება სწორედ „უსურვილობაა", ხელოვნების მოწოდება კი **გრძნობის გაწმენდაა სურვილებისაგან.** ამ თვისებით პოეზია სარწმუნოებას უახლოვდება. ორგანვე გრძნობის სიწმინდე შეადგენს დედა აზრს; ამავ თვისებით აიხსნება, რომ ხელოვნების ნაწარმოები არ სწყინდება ადამიანს და იგი მზად არის დაუსრულებლივ უცქიროს მას.

ბ. ელეფთერიძის კალამს ეკუთვნის, სხვათა შორის, „სიჭაბუკე", რომელიც თავდაჭერილის ზომიერებით და სხვა იმავ ავტორის ნაწერებთან შედარებით მარტივის ენით არის დაწერილი. არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ აგრეთვე მოხდენილი ეტიუდი „სიყვარულის ყვავილი", რომელშიაც თითქოს ბუნებრივად მეტყველობენ ბულბული, ვარდი, ნარგიზი, ყაყაჩო და სხვები.

შანგა.

(დასასრული იქნება)

ეს წინადადებანი განსახილველად საზოგადოების კრებას. ამავე სხდომაზე საბჭომ განიხილა სამეურნეო იარაღისა და წამლების ბიუროს გამგის ბ-ნ პ. ი. ყიფიანის ანგარიში 1902 წლისა. საბჭომ შეუცვლელად დაამტკიცა ანგარიში და დაადგინა დაავალოს ყიფიანს აწარმოვოს შემდეგშიაც ბიუროს საქმეები.

◆ მოვაგონებთ „ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს ქართულს თეატრშია **ბენეფისია** ნიჭიერ და დამსახურებულ არტისტ-ქალის **მ. საფაროვ,-აბაშიძისა**. „ალლუმის“ გარდა გაიმართება დივერტისმენტი, რომელშიაც ოპერის არტისტები იღებენ მონაწილეობას. ეჭვი არ არის, ამ წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრება.

◆ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ **ბაქოში გამართულ საღამოს**, როგორც გვატყობინებენ, კარგად ჩაუვლია და ხალხიც ბლომად დასწრებია. ბაქოელ ქართველებს ლაპარაკი აქვთ ეხლა, ავადმყოფ არტისტის მესხიშვილის სასარგებლოდ წარმოდგენის გამართვის შესახებ.

◆ ამ რამდენისამე დღის წინად კერძო კრება ჰქონდათ ტფილისის **მოქალაქეთა რწმუნებულებს**. კრებაზე გამოირკვა, რომ მოქალაქეთა საქმეები ვერ მიდის კარგად, რომ გამგეობა არავითარ ინიციატივას არ იჩენს და პასპორტებისა და მოწმობების გაცემის მეტს არაფერს აკეთებს. დამსწრეთ საჭიროდ სცნეს მოქალაქეთა საქმეების წესიერად გასამართავად მხნე, მცოდნე და დახელოვნებული კაცი ედგეს გამგეობას. განაცხადეს, ეხლანდელი მამასახლისი დაგვპირდა, თავს გავანებებ თანამდებობასაო, და კარგი იქმნება, თუ დანაპირებს აასრულებსო. კრებამ გადასწყვიტა სთხოვოს ბუდაღოვს შეატყობინოს საზოგადოებას,ანებებს თავს სამსახურს, თუ არა.

◆ როგორც „ნოვ. ობოზრ.“-ეს შეუტყვია, **მთაწმინდაზე ფუნიკულერი კეთდება**: მთავრობას ფუნიკულერის გაყვანა მოუწონებია და ახლა აქაურ ადგილების მესაკუთრეთ განუზრახავთ სააქციონერო საზოგადოება შეადგინონ, რომ საქმე მართლა განახორციელონ. ამისათვის 300 ათას მანეთის აქცია უნდათ გამოსცენ; ნახევარს ბელგიელთა უსახელო საზოგადოება გაანაღდებს თურმე, ნახევარსაც—ტფილისელი აქციონერები.

◆ რედაქციამ მიიღო შემდეგი **რუსული წიგნაკი**: „медико-топографическое описанiе Закатальскаго округа“, ექიმის ი. ს. ელიაშვილისა.

◆ დარბაზთათვის იაფ-ფასიანის და უფასო სასადილოების გამგე კომიტეტს ორი შეწირულება მოუვიდა მიცვალებულთა ა. ბ. ლუკასოვისა და ი. ა. მამიკონოვის სახელის მოსახსენებლად: პირველის სახელობით 20 თუმანი და მეორისა—30 თუმანი.

◆ 27 და 28 იანვარს ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე აზნ. არტემ ქალანთაროვის (23 წ.) და ბორჩალოს მაზრის გლეხთა ვასილ პარავოვის (18 წლ.) და არშაკ ნერქეზოვის (18 წლ.). ამ სამ ბრალდებულს ჯერ გაუქურდნიათ სოფ. არდვის მღვდლის ოვგიანცის საკუჭნაო და შემდეგ ბოროტ-მოქმედების დასამალავად მოუკლავთ მღვდლის მოსამსახურე ჰასან-ნაბი-ოღლი. ოლქის სასამართლომ სამივენი დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა კატორღაში გაგზავნა—ქალანთაროვს 15 წლით, ხოლო პარავოვსა და ნერქეზოვს თითოს 6 წლითა და 8 თვით.

უგანათლებულესი თავადი ნიკოლოზ დავითის ძე მინგრელსკი

24 იანვარს პეტერბურგში გარდაიცვალა უგანათლებულესი თავადი ნიკოლოზ. განსვენებული სამეგრელოს უკანასკნელ დამოუკიდებელ მთავრის უფროსი შვილი იყო. დაიბადა 1847 წელს. მამა ადრე გარდაეცვალა (1853 წ.), ამიტომ ტახტის მემკვიდრის სრულ წლოვანობამდე სამთავროს განაგებდა დედა ნიკოლოზისა, დედოფალი ეკატერინე, თავ. ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული. მთავრის გარდაცვალების შემდეგ სამეგრელოს შეესია ოსმალეთის ჯარი, რომელმაც ააოხრა მთელი ოდიში, აიკლო ზუგდიდი და ხელთ იგდო დიდ-ძალი სიმდიდრე დედოფლისა. ამას მალე ზედ დაერთო გლეხთა აჯანყება სამეგრელოში, რის გამო დედოფალი შვილებითურთ (ვაჟი ნიკოლოზი და ქალი სალომე) იძულებული შეიქმნა პეტერბურგს წასულიყო. რუსეთის მთავრობამ სამეგრელოს დროებით მმართველობა დაუნიშნა. ამის შემდეგ დედოფალი ხან რუსეთს, ხან საზღვარ-გარეთ სცხოვრობდა. 1867 წელს ნიკოლოზმა სამეგრელოს სამთავროს ტახტზე ხელი აიღო, რისთვისაც მთავრობამ მისცა ერთი მილიონი მანეთი და დაუბრუნა დიდძალი ადგილები სამეგრელოში. საზღვარ-გარედ ყოფნის დროს ნიკოლოზის და სალომე შეირთო საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ მესამის ნათესავმა პრინცმა მიურატმა. თვით ნიკოლოზმა შეირთო რუსეთის სასახლის მინისტრის გრაფ ადელბერგის ქალი.

1882 წელს, როდესაც ბოლგარიისათვის მთავარს დაეძებდნენ, იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ წამოაყენა უგანათლებულეს თავადის ნიკოლოზის კანდიდატურა. მაგრამ ევროპის სახელმწიფოებმა არ შეიწყნარეს ეს წინადადება და ბოლგარიის მთავრად დანიშნეს ფერდინანდი.

ამ ბოლოს დროს თავადი ნიკოლოზი სცხოვრობდა ხან რუსეთსა და ხან კავკასიაში. დარჩა განსვენებულს ქალ-ვაჟი, ნიკოლოზი და სალომე. ქალი გათხოვილია და ცოლადა ჰყავს თავ. ობოლენსკის.

ჩვენის გაზეთის დღევანდელ დამატებაში მოთავსებულია განსვენებულის სურათი.

რუსეთის ქრონიკა

◆ უწმ. სინოდში სამოსწავლო საბჭოსთან აზრათა აქვთ მოაწყონ განსაკუთრებული განყოფილება, რომელსაც დაექვემდებარება ორ-კლასიანი სამრევლო-საეკკლესიო სკოლები.

◆ იმავე სამოსწავლო საბჭოს განუზრახავს რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილას გამართოს სამკურნალო-სასანიტარო სადგურები სასულიერო უწყების ავადმყოფ მასწავლებელთათვის. პირველ ხანს დააარსებენ სანატორიას შავის ზღვის პირად.

◆ მთავრობას აზრადა აქვს რუსეთის საქიმიო და სამეტალურგო მრეწველობის გასაძლიერებლად საზღვარ-გარეთის ნაწარმოებზე შემოსატანი გადასახადი გაადიდოს. პროექტი ამისა უკვე გადაეცა სახელმწიფო საბჭოს.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 იანვარი.

კიევი დაასაფლავეს მიტროპოლიტი თეოგნოსტე. მწირველი იყვნენ არქიეპისკოპოსი ფლაბიანე, ეპისკოპოსი ვოლინისა ანტონი და უმანსკისა ალაფიტე, არხიმანდრიტები და დიდ-ძალი სამღვდელოება. ლავრას დიდ ეკლესიას გარს შემოატარეს ცხედარი; ნაშუადღევის ორ საათზე ჯვართა-ამაღლების ეკლესიაში მივიდნენ. აკლდამა არქიეპისკოპოსის ფლაბიანეს თანდასწრებით დაჰხურეს. დასაფლავების შემდეგ ლავრას სასტუმროში ტრაპეზი იყო გამართული, ხალხს ხუთიათასზე მეტი სადილი დაურიგეს.

სოხუმი. პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგელი საბჭომ სოხუმის საპატიო მოქალაქედ აირჩია.

მიტავა. ფინანსთა სამინისტრომ სახალხო განათლების სამინისტროს წინაშე აღძრა საკითხი იმის შესახებ, რომ ბალტიის მხარეს სიფხიზლის გასავრცელებლად დაარსებულ სამზრუნველოს არ შეუძლიან ნაყოფიერად იმოღვაწოს, თუ სახალხო საკითხავები ადგილობრივ მცხოვრებთა —ლატიშებისა და ესტონთა—ენებზე არ იქმნათ. სახალხო განათლების სამინისტრო დათანხმებულა ამაზე, მაგრამ იმ პირობით კი, რომ საკითხავები რუსულ ენაზედაც იყოს.

მოდიკა. დილით ორი წამის განმავლობაში მძლავრი მიწის-ძვრა იყო.

რომი. გარეშე საქმეთა სამინისტროს მმართველობა მეფემ დროებით მიანდო ზღვათა მინისტრს.

კონსტანტინეპოლი. „კონსტანტინეპოლის სააგენტო“ აცხადებს, რომ ოსმალეთის ჯარების დამზადების შესახებ ამბავი ტყუილია.

მელილა. ქაბილთა ხალხმა ბენისიკარებმა სულთანის უფროსობა აღიარეს.

კონსტანტინეპოლი. გაზ. „ფიგარო“-ში დაბეჭდილი ცნობები ოსმალეთის ჯარების დამზადების შესახებ მოგონილია. სერესში ცხენოსანთა ჯარის სიმცირეა და ამიტომ ცხენოსანთა ორი რაზმი უნდა შეადგინონ და არა არსებული ჯარები უნდა დაამზადონ.

ბათუმი. მანთაშევის ქარხნის დაწვამ 800 ათას მანეთის ზარალი მოიტანა. ქარხნის განახლებისათვის მუშაობა სწარმოებს და ამ დღეებში ქარხანა თავისს საქმეს შეუდგება. ქარხანა დაზღვეული იყო „როსია“-სა და „ს.-პეტერბურგსკი“-ს საზოგადოებებში. ხე-ტყის მასალა მეოთხედ ფასში იყო დაზღვეული.

29 იანვარი

კონსტანტინეპოლი. დამნაშავეს, რომელმაც რევოლვერი ესროლა სომეხთა პატრიარქს ორმანიანს, და მის ამხანაგს, რომელიც გაიქცა, სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა; სხვა სამ დამნაშავეს სხვა-და-სხვა სასჯელი მიესაჯათ, მათგან ორს—სამუდამო დაპატიმრება. დამნაშავეთ განაცხადეს, განზრახვა გვქონდა მუქარით ფული გვერთმია მდიდარ სომხებისათვის; სომხთა კომიტეტში მონაწილეობის მიღებაზე უარი სთქვეს.

კიევი. ლევ ბროდსკის თავმჯდომარეობით დაიწყო კერძო კრება რუსეთის შაქრის მრეწველთა. მოლაპარაკება აქვთ სინდიკატის დაარსებაზე, რათა ასწიონ შაქრის ფასი და ამით დახმარება აღმოუჩინონ ცუდ მდგომარეობაში მყოფ შაქრის მრეწველობას.

ლონდონი. „რეიტერის სააგენტომ“ გაიგო, რომ ბოუენსა და მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლების შორის მოლაპარაკება ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ მალე დასრულდებაო. სამი სახელმწიფო თანხმობით მოქმედებენ.

ცეტინიე. ჩერნოგორიის მთავრობამ მოსთხოვა ავსტრო-უნგრეთს მოსპოს სავაჭრო ხელშეკრულობის მოქმედება.

ბერლინი. მოლაპარაკება, რომელიც ჰქონდათ აქ ჰამილტონსა და დანკს „დაიჩე ბანკ“ თან, დასრულდა იმ ფრანგთა და გერმანელთა შეთანხმებით, რომელნიც დაინტერესებულნი არიან ბაღდადის რკინის გზის გაყვანაში.

ტანჟერი. პრეტენდენტს სახარის საზღვარიდან მიმშველი ჯარი მოუვიდა.—იტალიელთა სამხედრო მისსია ფეცს დაბრუნდა.

ვაშინგტონი. ბოუენმა გადაათვალიერა ინგლისის, იტალიის და გერმანიის წარმომადგენელთა ოქმები და უკანასკნელთა ოქმში ზოგი რამ შესცვალა; ინგლისელთა ოქმი მოიწონა ზოგიერთ წვრილმან შენიშვნების გარდა; იტალიელთა ოქმში შეტანილ ზოგიერთ დადგენილებათა წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა.

კარაკასი. 1500 აჯანყებულმა აიღო რიოჩიკოს ოლქი. აჯანყებულთა წინააღმდეგ გაიგზავნა 2000 კაცი ორის ზარბაზნით; ამ ჯარს მეთაურობს სამხედრო მინისტრი.

ლოძი. პასტორის ფაბრიკას ცეცხლი გაუჩნდა; დაზღვეულია ვარშავის საზოგადოებაში; ზარალი 60.000 მანეთამდეა. ცეცხლის მქრობელ რაზმის რამდენიმე კაცი მძიმედ დაშავდა.

კონსტანტინეპოლი. ოსმალეთის მთავრობას ეჭვი აქვს, რომ იტალია ინგლისთან შეთანხმებით მოქმედებს იემენში.—მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგი ჰუსეინ-ხურნი ტრიპოლისის გუბერნატორად დაინიშნა; ამ გარემოებას აქ იტალიისათვის მუქარის გაგზავნად სთვლიან.

ბელგრადი. სერბიის მინისტრ-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მთავრობა არავითარ სამხედრო მზადებას არ შესდგომია.

კონსტანტინეპოლი. ოსმალეთის მთავრობამ პრინციპიალურად დაადგინა 200 მილიონი გირ. სტერ. ისესხოს პარიზში.

ილდიზ-კიოსკში შეწუხებულნი არიან იემენში მომხდარ ამბის გამო. იქიდან მოსულ ახალ ცნობებით, აჯანყება მატულობს. შიში აქვთ, რომ აჯანყებულ ერთა შეტევებმა, რომელთაც ინგლისი ეხმარება ფულითაც და იარაღითაც, არ დაიპყრან ოსმალთა წმ. ადგილები.

პეტერბურგი. უმაღლესის ნებართვით, გზათა მინისტრს თავ. ხილკოვს მიენიჭა წოდება ქალაქ ტვერის საპატიო მოქალაქისა, ხოლო ფინანსთა მინისტრს ვიტტეს—ქალაქ ბოროვიჩისა.

რედაქტორ-გამომცემელი ლ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7 /71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ყორაპნამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევს 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს, 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

ყორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 . 28 წ.).

განცხადებანი

ჰყიდი ორ სართულიან

სახლს

ნიკოლაევის ქუჩა, № 68. პირობების გაგება იქვე. (3—3)

წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში

იყიდება 1903 წლის

კალენდრები

1) კედ. კალენდარი ფასი 40 კ.; 2) საქართველოს კალენდარი გუნიასი—60 კ. უყდოდ და 70 კაპ. ყდით. 3) პატარა ჯიბის კალენდარი—20 კ. 4) ჩარკვიანის გამოც. კედლის კალენდარი 40 კაპ.

შეიძლება ფასდადებით გაიწეროთ: Тифлисъ, Грузинское Издательское Т—во, ლორის-მელიქოვის ქუჩა.

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტფილისში

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ).

ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად დილს 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი, მზა წამლები (პატენტ მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთიერება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ქირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბორატორიისთვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის სღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და სხვ.

ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ. (100—2)

Дозв. ценз. Тифлисъ, 29 января, 1903 г.

ელექტრონის სრამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)